საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები
2019

1.10.2020
www.geostat.ge

01.10.2020

საწარმოთა საქმიანობის შედეგები
(2019 წელი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2019 წელს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 25.9 პროცენტით გაიზარდა და 109.0 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2019 წელს მისი მოცულობა 47.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 14.0 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება წლების მიხედვით



2019 წელს მთლიანი ბრუნვის 55.5 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 19.3 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 25.2 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 41.6 პროცენტი, საშუალოზე - 26.4 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 32.0 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2019 წელი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2019 წელს 65.3 მლრდ. ლარი (გასულ წლთან შედარებით 15.3 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 41.2 მლრდ. ლარი შეადგინა (გასულ წლთან შედარებით 14.7 პროცენტით მეტი).

2019 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 756.9 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 3.1 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 41.4 პროცენტი ქალია, ხოლო 58.6 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 35.0 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20.2 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 44.8 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 702.0 ათასი კაცი შეადგინა (გასულ წელთან შედარებით - 3.3 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 9 977.2 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასულ წელთან შედარებით 10.3 პროცენტით მეტი).

2019 წელს საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 161.7 ლარს გაუტოლდა (გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 60.5 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 864.7 ლარი (გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 29.4 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 303.3 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1 416.8 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 893.5 ლარი.

2019 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 39.4 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 23.8 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.6 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 7.6 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.5 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 3.2 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 10.9 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა
2019 წელი



2019 წელს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21.7 პროცენტი) და მშენებლობა (18.8 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (16.7 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.7 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 33.1 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა
2019 წელი



2019 წელს დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 27.7 პროცენტი, 12.1 პროცენტი და 9.9 პროცენტიანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (9.2 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.1 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (6.4 პროცენტი):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა
2019 წელი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2019 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2018 წელი	2019 წელი	2019 წლის ზრდის ტემპი 2018 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**86 625.1**	**109 024.3**	**125.9**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	446.9	498.4	111.5
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	749.3	841.6	112.3
დამამუშავებელი მრეწველობა	9 212.3	10 422.5	113.1
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	3 294.6	3 458.8	105.0
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	262.3	282.4	107.7
მშენებლობა	7 171.3	8 263.2	115.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	37 409.5	42 955.4	114.8
ტრანსპორტი და დასაწყობება	5 054.0	6 031.7	119.3
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1 811.7	2 089.1	115.3
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	919.2	1 132.4	123.2
საკვებით და სასმელებით მომსახურება	892.4	956.7	107.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 750.8	1 894.0	108.2
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 275.3	1 520.0	119.2
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 484.1	1 643.3	110.7
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1 195.9	1 410.0	117.9
განათლება	384.5	425.6	110.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1 052.8	1 147.3	109.0
ხელოვნება გართობა და დასვენება	13 934.1	25 993.0	186.5
სხვა სახის მომსახურება	135.8	148.1	109.0

01.10.2020

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2019 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2018 წელი	2019 წელი	2019 წლის ზრდის ტემპი 2018 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**41 649.2**	**47 494.7**	**114.0**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	510.0	616.9	121.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	767.0	881.4	114.9
დამამუშავებელი მრეწველობა	9 130.6	10 287.3	112.7
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1 600.6	1 658.3	103.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	366.0	368.3	100.6
მშენებლობა	7 789.5	8 910.4	114.4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	6 884.0	7 945.3	115.4
ტრანსპორტი და დასაწყობება	4 050.9	4 621.3	114.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1 816.1	2 101.1	115.7
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	921.8	1 145.2	124.2
საკვებით და სასმელებით მომსახურება	894.3	955.9	106.9
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 592.6	1 844.3	115.8
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 277.9	1 522.1	119.1
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 331.3	1 446.2	108.6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	829.8	971.9	117.1
განათლება	407.1	450.9	110.8
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1 750.1	1 943.3	111.0
ხელოვნება გართობა და დასვენება	1 407.1	1 779.7	126.5
სხვა სახის მომსახურება	138.6	146.0	105.3

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2019 წელს, გასული წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2018 წელი	2019 წელი	2019 წლის ზრდის ტემპი 2018 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**734 215**	**756 852**	**103.1**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	12 347	12 753	103.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	8 806	8 830	100.3
დამამუშავებელი მრეწველობა	92 902	91 506	98.5
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	14 910	15 114	101.4
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 411	14 519	100.7
მშენებლობა	74 192	69 956	94.3
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	196 883	209 953	106.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	58 137	61 163	105.2
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	45 663	48 634	106.5
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	20 293	22 632	111.5
საკვებით და სასმელებით მომსახურება	25 370	26 002	102.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	22 449	24 764	110.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	18 556	19 277	103.9
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	26 352	27 007	102.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	26 626	27 739	104.2
განათლება	23 032	23 324	101.3
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	72 322	74 885	103.5
ხელოვნება გართობა და დასვენება	18 391	19 002	103.3
სხვა სახის მომსახურება	8 236	8 425	102.3

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 75.1 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 6.8 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 4.7 პროცენტი
- იმერეთი – 3.9 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.9 პროცენტი

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 62.7 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.3 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 7.7 პროცენტი
- იმერეთი – 5.7 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.4 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 61.3 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.9 პროცენტი
- იმერეთი – 7.7 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 5.8 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.2 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები K O T U
- 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
II	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
დავით კუპატაძე ტელ: 2 36 72 10 (200) E-mail: dkupatadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge